შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

საქმე №3/1114-22	ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერანტივა''; ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრი; გრიგოლ გაგნიძე	ლიელა ფოლადიშვილი
	მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)	მოსამართლის სახელი და გვარი

მოპასუხე: *შენიშვნა-1*

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო	202482571	ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ. 150
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2* — სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

მოპასუხის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

ნანა ზამთარაძე	ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ. 150
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი — სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

თამარ ბარამიძე	555 355 305	tamarbaramidze1989@gmail.com
სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე:forms@hcoj.gov.ge

1 *სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

შენიშვნა-8

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?		
ᲓᲘᲐᲮ	☐	რის საფუძველზე?
ᲐᲠᲐ	☒	

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?		
ᲓᲘᲐᲮ	☐	რის საფუძველზე?
ᲐᲠᲐ	☒	

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?		
ᲓᲘᲐᲮ	☐	რომელი საფუძვლით?
ᲐᲠᲐ	☒	

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?		
ᲓᲘᲐᲮ	☐	რომელი საფუძვლით?
ᲐᲠᲐ	☒	

შენიშვნა-19

ᲛᲝᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲩᲔᲚᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲖᲔ

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის 689/ს ბრძანების გამოცემის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაცული იქნა მოთხოვნები, რომელსაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა უყენებს წარმოების განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს.

მოსარჩელის განმარტებით სააგენტოს მიერ დარღვეული იქნა „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია. კერძოდ ამ კონვენციის ის ნორმები, რომლებიც დაინტერესებულ საზოგადოებას აძლევს ადრეული ინფორმირების, პროცესებში ჩართულობისა და მათი მონაწილეობის შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობას საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ სააგენტოს მიერ ყოველ კონკრეტულ ობიექტთან მიმართებით ჩატარებული იქნა ადმინისტრაციული წარმოება, რის ფარგლებშიც ინფორმაცია მიწოდებული იქნა ყველა შესაძლო დაინტერებული პირისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის და უზრუნველყოფილი იქნა მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დანართის სახით დეტალურად წარმოგიდგენთ ყველა დაინტერესებულ უწყებასთან საკითხის შეთანხმების დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

როგორც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, აუქციონის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ადმინისტრაციულმა ორგანომ უზრუნველყო ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირება საკითხის თაობაზე და მათი ჩართულობა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში. ცალსახაა, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესის მახასიათებელი გარემოზე ზემოქმედების გავლენა და ხასიათი პირველ რიგში აქტუალურია და მნიშვნელოვანი იმ კონკრეტულ ტერიტორიასთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობისთვის, შესაბამისად, მათი ინტერესების გათვალისწინების მიზნით ყოველ

კონკრეტულ შემხვევაში ხდება თითოეული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოსთვის მიმართვა და პოზიციის გამოთხოვა კონკრეტული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის პოზიცია არსებითად მნიშვნელოვანია საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, რათა გათვალისწინებული იყოს იმ საზოგადოების/მოსახლეობის პოზიცია, რომელზეც ყველაზე არსებითი გავლენა აქვს წიაღისეულის მოპოვების სამუშაოებს, სააგენტო ყოველთვის უზრუნველყოფს მათ ჩართულობას და ხელმძღვანელობს მოწოდებული პოზიციებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

აღნიშნული პრინციპი დაცული იყო გასაჩივრებული აქტის გამოცემის შემთხვევაშიც. შესაბამისად სააგენტო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას, რომ სააგენტოს მიერ არ განხორციელდა დაინტერესებული პირების ინფორმირება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების თაობაზე ლიცენზიების გაცემის მიზნით მიღებული იქნა მხოლოდ დაინტერესებული პირების/საზოგადოების ჩართულობისა და მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი პოზიციების გათვალისწინებით.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის 689 ბრძანებით დამტკიცდა არა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების გაყიდვის გეგმა, არამედ მიღებული იქნა ელექტრონული აუქციონის ჩატარების გადაწყვეტილება და დამტკიცდა აუქციონის ჩატარების მიზნით გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია. ინფორმაცია მოიცავდა სალიცენზიო ობიექტების შესახებ მონაცემებს, ასევე სალიცენზიო პირობებს თითოეული ობიექტისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 **პრიმა** მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. როგორც ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან ირკვევა, მსგავსი შინაარსის დარღვევას სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და ძალაში უნდა დარჩეს 2021 წლის 3 ივნისის 689/ს ბრძანება.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო თვლის, რომ გასაჩივრებული აქტი პასუხობს კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აკმაყოფილებს აქტისთვის განსაზღვრული ფორმალური კანონიერების სტანდარტს და გამოცემულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულით (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობისათვის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემა და ამ მიზნით გასაწევი საქმიანობის წარმართვა და კოორდინაცია, შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილი იყო გამოეცა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია აქტის კანონიერების შეფასებისთვის.

„შპს „ტექნოლოჯი 2021"-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის

"შესახებ" სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის 898/ს ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძველია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულება, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის გაცემის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 მაისის №842 განკარგულება, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 და 2021 წლის 3 ივნისის №689/ს ბრძანებები და 2021 წლის 7 ივლისს ჩატარებული ელექტრონული აუქციონის, რომლის მე-2 ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „ტექნოლოჯი 2021".

ბრძანების თანახმად, შპს „ტექნოლოჯი 2021"-ზე (ს/ნ 405470869) ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაიცა 10 წლის ვადით და კომპანიას დაევალა მთელი რიგი, დეტალურად გაწერილი სალიცენზიო პირობების შესრულება. მნიშვნელოვანია, რომ ობიექტთან მიმართებით საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 მაისის №842 განკარგულებით დამატებითი სალიცენზიო პირობები იქნა დადგენილი, რათა უფრო მეტად იქნეს უზრუნველყოფილი სასარგებლო წიაღისეულის რაციონალურობის პრინციპისა და მოპოვების პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

თავად ბრძანების გამოცემის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაცული იქნა მოთხოვნები, რომელსაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა უყენებს წარმოების განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს. აუქციონში გამარჯვებულმა სუბიექტმა შპს „ტექნოლოჯი 2021"-მა კანონის სრული დაცვით მოახდინა ლიცენზიის მიღების მიზნით კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების გავლა და იკისრა ვალდებულება სალიცენზიო პირობების შესრულებაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. როგორც ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან ირკვევა, მსგავსი შინაარსის დარღვევას სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია. გასაჩივრებული აქტი არის აღმჭურველი ხასიათის, ლიცენზიის მფლობელს გააჩნია კანონიერი ნდობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და ძალაში უნდა დარჩეს 2021 წლის 9 ივლისის 898/ს ბრძანება.

„შპს „მნ ნორთი"-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ" სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის 899/ს ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძველია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულება, სასარგებლო წიაღისეულის

(მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის გაცემის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 მაისის №841 განკარგულება, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 და 2021 წლის 3 ივნისის №689/ს ბრძანებები და 2021 წლის 7 ივლისს ჩატარებული ელექტრონული აუქციონი, რომლის პირველ ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „მნ ნორთი".

გასაჩივრებული ბრძანების თანახმად, შპს „მნ ნორთი"-ზე (ს/ნ 405470967) ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შქმერის მანგანუმის (უბნები: შქმერი, კოლოსი-ბლაშე) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 10 წლის ვადით. დასახელებულ შემთხვევაშიც, საქართველოს მთავრობის განკარგულებით წინასწარ იქნა დაგდენილი დამატებითი სალიცენზიო პირობები, რომელსაც ითვალისწინებს გასაჩივრებული აქტი. მნიშვნელოვანია, რომ დამატებით სალიცენზიო პირობები, ლიცენზიის სტანდარტულ პირობებთან ერთად, ემსახურება სალიცენზიო ობიექტის მაქსიმალურ უსაფრთხოებასა და მაღალი სტანდარტების დაცვით მოპოვებითი სამუშაოების განხორციელებას, რისი ვალდებულებაც აღებულ იქნა ლიცენზიის მფლობელი სუბიექტის მხრიდან.

თავად ბრძანების გამოცემის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაცული იქნა მოთხოვნები, რომელსაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა უყენებს წარმოების განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს. აუქციონში გამარჯვებულმა სუბიექტმა შპს „მნ-ნორთი"-მ კანონის სრული დაცვით მოახდინა ლიცენზიის მიღების მიზნით კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების გავლა და იკისრა ვალდებულება სალიცენზიო პირობების შესრულებაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-601 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. როგორც ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან ირკვევა, მსგავსი შინაარსის დარღვევას სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია. გასაჩივრებული აქტი არის აღმჭურველი ხასიათის, ლიცენზიის მფლობელს გააჩნია კანონიერი ნდობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და ძალაში უნდა დარჩეს 2021 წლის 9 ივლისის 899/ს ბრძანება.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-27

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☒ რადგან

შენიშვნა-30

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 *შენიშვნა-32*

დანართი 1: საქართველოს კანონი ,,წიაღის შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე'';
დანართი 2: საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N35 დადგენილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დაფუძნების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის N565 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'';
დანართი 3: სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 02 მარტის N268/ს ბრძანება ,,სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსსა და უფროსის მოადგილეებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ''

ფურცლების საერთო რაოდენობა: 16

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐

არა ☐ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐

არა ☐ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე | დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐

არა ☐ რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ნანა ზამთარაძე	16/03/2022 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

საქართველოს კანონი

„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №16, 26.06.96, გვ. 12) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე განთავსებულ წიაღით სარგებლობის ობიექტს წიაღით სარგებლობის სახეობის მიხედვით უწესდება მიწის მინაკუთვნი, რომელიც გამოიყოფა წიაღით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით. მიწის მინაკუთვნი მოიცავს დასამუშავებელ საბადოს, მასთან დაკავშირებული წიაღისეულის საწყობს, ფუჭი ქანის სანაყაროს, აგრეთვე კუდის ან სხვა ნარჩენის განთავსების ადგილს. იგი სარეკულტივაციო მიწებს განეკუთვნება. კონკრეტული გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობების გათვალისწინებით მიწის მინაკუთვნის დაწესებისა და მისი ზომების განსაზღვრის საკითხს განიხილავს შესაბამისი ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო. დაწესებული მიწის მინაკუთვნი წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდის მართვის წესის შესაბამისად შეიტანება წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდში, როგორც წიაღის ფონდის მიწა, რის შემდეგაც იგი საჯარო რეესტრში აღირიცხება. წიაღის ფონდის მიწაზე შეიძლება წარმოებდეს ან დროებით არ წარმოებდეს წიაღით სარგებლობა. ამ კანონის 39-ე მუხლის თანახმად, დასაშვებია ტექნოგენური საბადოთი დაფარული მიწის ფართობის განაშენიანება, ხოლო წიაღით სარგებლობის სხვა ობიექტის დროებითი განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დროის მოცემულ მონაკვეთში იგი წიაღით სარგებლობისთვის არ გამოიყენება. თუ წიაღით სარგებლობის ობიექტზე ან ობიექტის ნაწილზე წიაღით სარგებლობა არ დაწყებულა, შესაძლებელია შესაბამისი მიწის ფართობით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა 1 წლამდე ვადით, ამ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. აკრძალულია წიაღის ფონდის მიწის საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული წიაღით სარგებლობის ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე.“.

2. 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულებას აკონტროლებს სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო.“.

3. 39-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დასახლებული პუნქტის, სამრეწველო კომპლექსის, სხვა სამეურნეო ან საყოფაცხოვრებო ობიექტის დაპროექტება და მშენებლობა დასაშვებია მხოლოდ იმ მიწის ფართობზე, სადაც სასარგებლო წიაღისეულის საბადო (ტექნოგენური საბადოს გარდა) არ არსებობს, რაც დასტურდება სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დასკვნით.“.

მუხლი 2. 2022 წლის 1 თებერვლამდე შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

16 დეკემბერი 2021 წ.

N1146-VIმს-Xმპ

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №35

2022 წლის 26 იანვარი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წიაღის ეროვნული სააგენტოს დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის №565 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წიაღის ეროვნული სააგენტოს დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის №565 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/12/2017, 040030000.10.003.020275) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დაფუძნების შესახებ“.

2. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).“.

მუხლი 2

1. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. დადგენილება გავრცელდეს 2022 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020191530550422

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ბრძანება № 268/ს

02 / მარტი / 2022 წ.

სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსსა და უფროსის მოადგილეებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 იანვრის N 1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 28 თებერვლის Nკ-5/9 ბრძანებისა და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის 2022 წლის 02 მარტის N 322 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსსა და მოადგილეებს შორის უფლებამოსილება გადანაწილდეს შემდეგი სახით:

ა) სააგენტოს უფროსის - ანდრო ასლანიშვილის უშუალო დაქვემდებარებაშია:

ა.ა) საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახური;

ა.ბ) შიდა კონტროლის სამსახური

ბ) სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილის - ნანა ზამთარაძის დაქვემდებარებაში გადაცემული იქნას შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:

ბ.ა) სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტი;

ბ.ბ) ლიცენზირების დეპარტამენტი;

ბ.გ) იურიდიული სამსახური.

გ) სააგენტოს უფროსის მოადგილის - ირაკლი გელაშვილის დაქვემდებარებაში გადაცემულ იქნას შემდეგი სტრუქურული ქვედანაყოფები:

გ.ა) სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახური;

გ.ბ) ადმინისტრაციული სამსახური;

2. სააგენტოს უფროსის - **ანდრო ასლანიშვილის** არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე - **ნანა ზამთარაძე;**

3. ნანა ზამთარაძეს მიენიჭოს:

ა) სააგენტოს წარმომადგენლობის უფლებამოსილება სასამართლოში;

გ) მის დაქვემდებარებაში გადაცემული სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ მომზადებულ კორესპოდენციაზე სააგენტოს სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება.

4. სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილის - **ნანა ზამთარაძის** არყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს სააგენტოს უფროსის მოადგილე - **ირაკლი გელაშვილი.**

5. **ირაკლი გელაშვილს** - მიენიჭოს მის დაქვემდებარებაში გადაცემული სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ მომზადებულ კორესპოდენციაზე სააგენტოს სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება.

6. სააგენტოს უფროსის მოადგილის - **ირაკლი გელაშვილის** არყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე - **ნანა ზამთარაძე.**

7. სააგენტოს უფროსის მოადგილეები ანგარიშვალდებულნი არიან სააგენტოს უფროსის წინაშე, მათ დაქვემდებარებაში გადაცემული სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობაზე.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 19 მაისის N630/ს ბრძანება.

9. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს, ამ ბრძანების სააგენტოს თანამშრომელთათვის გაცნობა.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ანდრო ასლანიშვილი